სააპელაციო საბჭოს
გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 4 20 00481523

17/06/2020

შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ „სამართალმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2020 წლის 4 ივნისს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს საქართველოს უნივერსიტეტის №03-3866 კორესპონდენციით წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №436113) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 30 მარტის №62 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება „სამართალმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

2020 წლის 10 ივნისს, სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 28^3 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას შპს საქართველოს უნივერსიტეტის 2020 წლის 04 ივნისის №03-3866 (ცენტრში რეგისტრაციის №436113) სააპელაციო საჩივარი.
2. სააპელაციო საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის MES 4 20 00471308 სხდომის ოქმის №02 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.

4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ოკრიბელაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
მდივანი
ჭეიშვილი დავით